გუშინ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა ფიზკულტურელის საკავშირო დღე. საბჭოეთის დედაქალაქ მოსკოვში, მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქებში მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული ღონისძიებები.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა თუ რაიონების სპორტულ ბაზებზე გაიმართა საინტერესო შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ფიზკულტურელის საკავშირო დღემ ნათელყო ჩვენი ახალგაზრდების მისწრაფება სპორტში ახალ-ახალი წარმატებებით კვლავაც ასახელონ ჩვენი დიადი სამშობლო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 158 (6213)

1978 წ. 13

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# 13 აგვისტო მშენებლის დღეა



# ბარაქალა თქვენს მარჯვენას!





**აქ მუშაობა** დუღს და გადმოდუღს, დღითა და ღამით. ასობით სხვადასხვა სპეციალობის ადამიანი რამდენიმე ცვლად შრომობს...

ბარაქალა მათ — ტრესტ „ინჟმშენს“, სამრეწველო ვენტილაციის სამმართველოს, ქალაქის საბჭოს აღმასკომის სარემონტო ტრესტს, საქსპორტმშენის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს, მრეწვკავშირმონტაჟის, სანტექმონტაჟის (ყველას რა ჩამოთვლის) სპეციალისტებს, რომლებმაც კარგი ამინდების დადგომისთანავე თავი განსაკუთრებით გამოიდეს და გეგმების შესრულებაში თუ რაიმე ჩამორჩენა ჰქონდათ, თითქმის გამოასწორეს.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის უნარიანი ხელმძღვანელობისა და ოპერატიული დახმარების, სპორტული კომპლექსის მშენებლობის შტაბის საქმიანობის გაუმჯობესების, ყველა დასაქმებული ორგანიზაციის მიერ რიგების შემჭიდროების შედეგია, რომ ახლა აქ, მარჯვენა სანაპიროზე, იმ ადგილას, სადაც არც ისე დიდი ხნის წინ მდინარე ვერეს დაჭაობებულ კალაპოტში წყალი მიჩხრიალებდა, დედაქალაქის სპორტული ბაზების ახალი მშვენება წამოიჭიმა.

საწყლოსნო სპორტული კომპლექსი. ოთხი სხვადასხვა სიგრძის, სიღრმისა და დანიშნულების აუზით, სპორტული დარბაზით, აღდგენითი ცენტრით, კაფე-ბარით, პრესკორპუსით, ხუთი ათასი მაყურებლისთვის ტრიბუნებითა და სხვა ატრიბუტებით მხოლოდ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ განახლებულ სტადიონს თუ ჩამოუვარდება გრანდიოზულობით, მასშტაბებით...

იმ ადგილს კაცი გულგრილად ვერ ჩაუვლის. კომპლექსი, მისი მიდამო რეკონსტრუირებულ გმირთა მოედანს შესანიშნავად შეერწყო: ძნელია, თუნდაც ერთი წუთით, არ შეაჩერო მანქანა და მოზაიკური პანო არ დაათვალიერო, აუზსაც არ გადახედო, სადაც სამივე აბაზანა ცისფერი ფილებით მოუპირკეთებიათ და რუხით გაუწყვიათ, სადაც კედლები ნაირფრად შეუღებავთ; წყალში მხტომელებისთვის ტრამპლინებზე და კოშკზე ასასვლელი ლიფტი ორიგინალურად მოუწყვიათ. ტრიბუნების ორივე მხარეს პროჟექტორები ამშვენებს. ღამით, როცა უფრო გრილოდა, სწორედ მათ შუქზე იყო აქ გაჩაღებული შრომის ფერხული...

...ბოლო დღეებში ჟურნალისტებისთვისაც კი არავის სცხელოდა — არც მშენებლობის შტაბის უფროსს, ტრესტ „ინჟმშენის“ მთავარ ინჟინერს თ. ებრალიძეს, არც ამ ტრესტის მმართველს ი. კირკიტაძეს, არც კომპლექსის პროექტის ავტორს არქიტექტორ შ. ყავლაშვილს. მეტად ჭირდა მშენებლობის სამუშაოთა უფროს მწარმოებელ გ. ხუროშვილისა და კომპლექსის დირექტორის ვ. გოიაშვილის მოხელთებაც.

ყველას, რომ იტყვიან, ცეცხლი ეკიდა. საჭირო საკითხის გადასაჭრელად რამდენიმე წუთით თუ შეიკრიბებოდნენ და მერე სხვადასხვა უბანზე ტრიალებდნენ, ახალ-ახალ განკარგულებებს იძლეოდნენ, რომ დედაქალაქის, ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეების, წყალბურთელების, წყალში მხტომელების, ყველა სპორტსმენისთვის ეს ძვირფასი, ნანატრი საჩუქარი მწყობრში ჩამდგარიყო მთელი სიდიადით, დასრულებული და მკვეთრად ნაგები.

აქ საქმიანობა მშენებლის დღესასწაულის წინა დღეებშიც კი გვიანობამდე არ შეწყვეტილა. რამდენიმე ასეული სპეციალისტი და მუშა უკანასკნელ დავალებებს ასრულებდა....

არა, კომპლექსის მშენებლებს ჯერ კიდევ ზოგი რამ წვრილმანი ხვალაც ექნებათ გასაკეთებელი, მაგრამ ისინი მაინც წვრილმანია, იმასთან შედარებით რაც გაკეთდა, მთავარი კი მორჩა და... სულ მალე აქ სხვა ცხოვრება დაიწყება — მშენებლების, მუშების ადგილს მოცურავეები, წყალში მხტომელები, წყალბურთელები დაიკავებენ, ლურჯად მოლივლივე აუზებში სპორტსმენები ისრიალებენ, იხტუნავებენ, ითამაშებენ...

**ო. გელაშვილი.**

* * *

**სურათებზე:** კომპლექსის საერთო ხედი; წყალში ხტომის დანადგარი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# წვლილი ყველამ უნდა შეიტანოს

**ამას წინათ ირკუტსკში ჩატარდა ხელმძღვანელ ფიზკულტურულ მუშაკთა საკავშირო თათბირი, რომელმაც განიხილა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხი.**

თათბირის მონაწილეებმა მოუწოდეს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და მასწავლებლებს, ინსტრუქტორებსა და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაკებს აქტიურად ჩაებან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების მიზნით დასახული პროგრამის განხორციელებისთვის.

ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკების მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ სკკპ XXV ყრილობაზე, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1977 წ.) პლენუმზე დაისახა ამოცანები აღმოსავლეთის რაიონებში ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი გაძლიერების თაობაზე. ამ ამოცანათა განხორციელებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ რაიონებს, რომლებშიც იმოგზაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.** აღმოსავლეთის რაიონების განვითარების კომპლექსურ პროგრამაში საპატიო ადგილი უკავია ფიზიკურ კულტურასა და სპორტს, რომელიც ხელს უწყობს მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟების, საწარმოო მაჩვენებლების ამაღლებისა და დასვენების ორგანიზაციის საქმეს. ციმბირელები ამაყობენ ბრატსკის, ბარნაულის, კრასნოიარსკის და სხვა სპორტული კომპლექსებით, აქ აღზრდილი შესანიშნავი სპორტსმენების ზ. ამოსოვას, ა. ტიხონოვის, ი. იარიგინისა და სხვათა სახელებით.

მხოლოდ ბოლო 2 წლის მანძილზე ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რაოდენობა გაიზარდა ორი მილიონით, მნიშვნელოვნების რიცხვი 300-ით, თანრიგოსნებისა — 450 ათასით, სპორტის ოსტატებისა 150-ით. ფიზკულტურულ ორგანიზაციებში აღიზარდნენ შესანიშნავი მწვრთნელები, თავიანთი საქმის ენთუზიასტები ი. მამეტიევი, ი. ვოლკოვი, დ. მინდიაშვილი.

**თათბირის მონაწილენი თვლიან, რომ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საქმეში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, სპორტსაზოგადოებათა ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა საბჭოებმა და უწყებებმა.**

**ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოები, მშენებლობები, სამრეწველო კომპლექსები ელოდებიან გამოცდილ მწვრთნელ-სპეციალისტებს, მეცნიერებს, წამყვან სპორტის ოსტატებს, სახელგანთქმულ ოლიმპიელებს, საჭიროებენ მათ დახმარებას, რათა ეს მხარე მაღალი კლასის ოსტატთა, მომავალ ოლიმპიელთა სამჭედლო გახდეს.**

# სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

**ახლახან გაიმართა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მთლიანად რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს მიეძღვნა.**

**ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს კომკავშირის ასპინძის რაიკომის პირველ მდივანს ნოდარ მურადაშვილს.**

**● ფიზკულტურა და სპორტი რომ ახალგაზრდობის ღვიძლი საქმეა, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. ახალგაზრდობის დამრაზმველი კი, ყველას კარგად მოეხსენება, კომკავშირია. ამიტომაც, არ არის გასაკვირი, თქვენი რაიონის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების თაობაზე, ასპინძაში სპორტული ცხოვრების ავ-კარგიანობის საკითხებზე სწორედ თქვენთან გადავწყვიტე საუბარი. რა დასამალია და, ჩვენ ცოტა რამ თუ ვიცით თქვენი კუთხის სპორტული ცხოვრების, თქვენი ახალგაზრდობის საქმიანობის შესახებ. ამაში, ვფიქრობ, ვინმეს დადანაშაულება ძნელია. ალბათ, ბარი-ბარში ვართ სპორტული პრესის მუშაკები და თქვენი სპორტსმენები. ესე იგი, თუ თქვენთან კარგადაა საქმე ამ სფეროში, ბევრი მიღწევა-წარმატება გაქვთ, ეს ბრსად დაიმალება, ხოლო თუ ჩავარდნებია, ამის შესახებ ერთ-ერთმა პირველებმა ჩვენ, სპორტულმა ჟურნალისტებმა უნდა ვიცოდეთ და რესპუბლიკას გავაცნოთ თქვენი გასაჭირი.**

— მე, ძირითადად, ალბათ, ციფრობრივ და ფაქტობრივ მონაცემებს უნდა დავეყრდნო, ვინაიდან მათში უფრო გამოკვეთილად ვიპოვით რაიონის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ჭეშმარიტ სახეს.

დავიწყებ იმით, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ მართლაც ცოტა იცის ასპინძელ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შესახებ და ეს, ალბათ, გამართლებულიცაა, ვინაიდან, ასე ვთქვათ, იმ ხნოვანების მიუხედავად, რომელსაც ფესვები ძალიან შორეულ წარსულში აქვს გადგმული, ჩვენი რაიონი მაინც ახალგაზრდაა, სულ ნახევარი საუკუნეც არ იქნება, რაც აქ დამკვიდრდა ის მოსახლეობა, რომელიც და რომლის შთამომავლობაც დღეს ცხოვრობს ასპინძაში. სათქმელს გადავუსწრებ და ვიტყვი, რომ ამის გამოა სწორედ, ჩვენში სპორტის ეროვნული სახეობები რომ მოიკოჭლებს. მართალია, ქართულ ჭიდაობას, სიმძიმეების აწევასა და ბაგირის გადაძალვას კარგა ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ მყარად მაინც ვერ დაიდო ბინა ასპინძის რაიონში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენს კუთხეს დიდი სპორტული ტრადიციების რაიონს ვერ დაარქმევ. და ამიტომაცაა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის ახლანდელი ხელმძღვანელები, რომლებსაც გამოცდილი და ენერგიული სპეციალისტი ვასო ცინაძე თავკაცობს, დღევანდელი კომკავშირლები ძირითად ყურადღებას ბავშვთა სპორტს ვაქცევთ, ხოლო თუ ეს ბავშვი ჭეშმარიტად კარგი სპორტსმენი გაიზრდება, ბუნებრივია, „დიდებს" შორისაც იტყვის სათქმელს.

ბავშვთა სპორტით დავიწყე და აქვე, ჩვენთვის სასიამოვნო ფაქტს აღვნიშნავ. „ტყავის ბურთის პრიზის" გათამაშების ზონალურ შეჯიბრებებში მუდამ იმარჯვებდნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ნორჩი ასპინძელი ფეხბურთელები, და, ბუნებრივია, ფინალური ეტაპის მონაწილეებიც ხდებოდნენ. წელს კი სამივე ასაკობრივი ჯგუფის გუნდი გავიდა ფინალურ თამაშებში, და აი, სულ ცოტა ხნის წინ მეტად სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ. ლაგოდეხში გამართულ „ტყავის ბურთის პრიზის" გათამაშების ფინალურ ტურნირში ჩვენმა უმცროსი ასაკის გუნდმა (1967-1968 წლებში დაბადებულნი) რესპუბლიკაში მეორე ადგილი დაიკავა თბილისელი თანატოლების შემდეგ, ხოლო „უფროსები" III ადგილს დასჯერდნენ.

## ასპინძელ კომკავშირელთა ღვიძლი საქმე

რაიონის ბავშვთა სპორტსკოლაში ხუთი სექცია და 13 ჯგუფია ჩამოყალიბებული, სულ 212 მოსწავლეა აქ გაერთიანებული. ეს წრეებია: თავისუფალი ჭიდაობის, მძლეოსნობის, ფრენბურთის (ორ-ორი ჯგუფი), კალათბურთის (4) და ფეხბურთისა (3). სექციებს კვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ, ერთ-ერთი მათგანი სპორტის ოსტატი გახლავთ. რაიონში სისტემატურად ტარდება მოსწავლეთა სპარტაკიადები სპორტის ცხრა სახეობაში, შოთა რუსთაველის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება ფეხბურთში IV-V კლასელებისთვის; გარდა ამისა, მესხი მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. წელს, მაგალითად, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ორმა ჩვენმა მოსწავლემ მოიპოვა პირველობა, სამხტომში ვაჟა ბურდულმა და 3000 მეტრზე რბენაში ვაჟა გიგაშვილმა. ვმონაწილეობთ, აგრეთვე, პიონერული ორგანიზაციების შეჯიბრებებში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შარშან რესპუბლიკის ახალგაზრდული სპორტული თამაშების ზონალურ ტურნირში სოფელ დამალის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა III ადგილი დაიკავეს. რაიონში უკვე მეორე წელია ორგანიზებულად ეწყობა „იმედის სტარტების" ტურნირები მშდ-ის მრავალჭიდში, სისტემატურად ტარდება რაიონული შეჯიბრებები „ცისკარსა" და „ორლიონოკში".

რაც შეეხება მასობრიობას, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რაიონში დღითი-დღე იზრდება ფიზკულტურელთა რიცხვი და უკვე სამი ათასამდე ფიზკულტურელია, აქედან 2038 კაცი სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში მეცადინეობს. მათ დასტატებაზე 24 შტატიანი მუშაკი ზრუნავს, ესენი არიან მასწავლებლები, სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ინსტრუქტორ-მეთოდისტები, მწვრთნელები. მათგან 95 პროცენტი უმაღლესი განათლებითაა, თანაც ყველა სპეციალური ფიზკულტურული განათლების მქონეა. რაიონში ძირითადად დანერგილია კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი, შაში; რამდენიმე სოფელში ახალგაზრდობა მისდევს სათხილამურო სპორტს და ძალოსნობას.

ზემოთ მოგახსენეთ, ეროვნული სახეობებით მაინცდამაინც ვერ დავიტრაბახებთ-მეთქი, და სწორედ ამ მიზნით, მათი განვითარებისთვის, სოფლის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უკვე გადადგეს გარკვეული ნაბიჯები. ეწყობა შიდასასკოლო და რაიონული პირველობები ქართულ ჭიდაობაში, მიმდინარე წელს კი, შემოდგომაზე, განზრახულია მოეწყოს რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში წარსულში ცნობილი მოჭიდავის დავით ხიზამბარელის თასზე.

სისტემატურად ტარდება შიდასაკოლექტივო და რაიონული შეჯიბრებები მშდ მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. რაიონულ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდები ყოველწლიურად მონაწილეობენ ზონალურ შეჯიბრებაში. 1975 წელს ასპინძის რაიონის მშდ მრავალჭიდელებმა ზონაში II ადგილი დაიკავეს, მომდევნო წელს — III, შარშან კი კვლავ II შედეგი აჩვენეს. ამ წარმატებებისთვის ჩვენი გუნდები საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და „კომსომოლსკაია პრავდის" სიგელებით დააჯილდოვეს.

რაც შეეხება სპორტულ ბაზებს, შარშან ჩვენი რაიონის მშრომელებმა დიდებული საჩუქარი მიიღეს — დაბა ასპინძაში აიგო სპორტული კომპლექსი ფეხბურთის მინდვრით, ფრენბურთის ორი, კალათბურთის, ხელბურთის მოედნებითა და მძლეოსნური სექტორებით. ამის შესახებ თავის დროზე „ლელოც" იტყობინებოდა. გარდა ამისა, დაბაში გვაქვს ძველი, სათადარიგო სტადიონი, სადაც ძირითადად მასობრივ შეჯიბრებებს ვატარებთ. საერთოდ, რაიონში ფეხბურთის 13, კალათბურთის 17, ფრენბურთის 22 მოედანი, 7 სარბენი ბილიკი და 16 სახტომი სექტორია. ოლიმპიურ, 1980 წლამდე რაიონში გათვალისწინებულია აიგოს ტირი — დაბა ასპინძაში, ფეხბურთის მოედანი — ტოლოშში, ჭობარეთში, ხიზაბავრასა და დამალაში, ორი საცურაო აუზი — დაბა ასპინძაში. აუზები ერთ შენობაში იქნება განლაგებული, პროექტი უკვე მზადაა. დაბაშივე აშენდება სპორტული დარბაზი.

რაიონის თითქმის არც ერთი სოფელი არ გვეგულება, ფრენბურთის მოედანი რომ არ ჰქონდეს, თითქმის ყველა სკოლას აქვს კალათბურთის მოედანი, ყველა სოფელშია მეტ-ნაკლებად კეთილმოწყობილი ფეხბურთის მინდვრები, ხიზაბავრაში გვაქვს სპორტული დარბაზი. დაბის ერთადერთ საშუალო სკოლას ახალ შენობას უგებენ, რომლის ტერიტორიაზეც იქნება მშვენიერი სპორტული კომპლექსი საცურაო აუზითა და ღია სპორტული მოედნებით.

კომკავშირული ორწლედის პერიოდში — „არც ერთი მიკრორაიონი და დასახლებული პუნქტი მარტივი ტიპის სპორტული მოედნის გარეშე" — რაიონში მოეწყო მარტივი ტიპის 8 სპორტული მოედანი — ფრენბურთის (5), კალათბურთის (3), ფეხბურთის (2) მინდორი, 8 სახტომი სექტორი, 3 სარბენი ბილიკი და 2 საჭიდაო სარბიელი.

აი, ამ სპორტულ ბაზებზე შარშან რაიონის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები. წელს მასობრივ თანრიგოსანთა მომზადების გეგმა 1186 გვაქვს, ნახევარი წლის მანძილზე კი 945 თანრიგოსანი მომზადდა. ექვსი თვის შედეგების მიხედვით მომზადებულია 1244 მშდ-ის ნიშნოსანი (წლიური გეგმა 1612), 455 მწვრთნელ-ინსტრუქტორის ნაცვლად დღეისთვის მომზადებულია 417.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ტურიზმისა და გამაჯანსაღებელი ჯგუფის მუშაობის შესახებ. ჯერ ერთი, სკოლებიდან სისტემატურად გაგვყავს ბავშვები ტურისტულ ლაშქრობებში. ისტორიული ძეგლის — ვარძიის პირდაპირ, მტკვრის მეორე სანაპიროზე დგას ტურისტული ბაზის „ვარძიის" კორპუსები, ტურბაზაში როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო მარშრუტებია.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ მან ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ფართო გაქანება რაიონის მშრომელებში, ასევე არასტაბილურად მუშაობს თევზჭერის სექციაც. დაბა ასპინძის სტადიონთან ჩამოყალიბებულია ქალთა ჯანმრთელობის ჯგუფი, რომელსაც კურორტ „ასპინძის" დირექტორი, ექიმი ნინო გიორგაძე ხელმძღვანელობს. კარგი იქნება ჩვენს ქალებს მამაკაცებმაც მიბაძონ.

**● ვფიქრობ, იმისი ჯერიც დადგა, გაზეთის მკითხველებს გავაცნოთ თქვენი რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირის რაიონული კომიტეტის, მთელი ასპინძელი კომკავშირლების როლი რაიონის სპორტულ ცხოვრებაში.**

— დავიწყოთ იმით, რომ რესპუბლიკის 1977 წლის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გასატარებლად რაიონის სპორტულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს. ფიზკულტურულ და ახალგაზრდულ კოლექტივებში განიხილეს ამ კრების მასალები, შემუშავდა კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა 1977-1980 წლებისთვის. ამასთან, კომკავშირის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომებზე რეგულარულად გვაქვს საკითხები, რომლებიც ფიზკულტურულ-მასობრივ [illegible] მოძრაობას ქმნება, [illegible] სისტემატურ[illegible] ვსახავთ გზებს მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და ნაგებობების მშენებლობისა და კეთილმოწყობისთვის, წვევამდელ და გასაწვევ ახალგაზრდებთან სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვისათვის...

„სპარტაკისა" და „კოლმეურნეს" რაიონულ საბჭოებთან ერთად შემუშავებული გვაქვს სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი. სისტემატურად ვაწყობთ მასობრივსპორტულ შეჯიბრებებს კომკავშირის რაიონული კომიტეტის პრიზზე.

მშდ მრავალჭიდის რაიონულ კომისიასთან შექმნილია ინსპექტორთა ჯგუფი, რომელთა წევრების მიერ ხშირად ხდება მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა ნორმატივების ჩაბარების გადამოწმება მძლეოსნურ სახეობებში და ტყვიის სროლაში.

რაიონის წარმოება-დაწესებულებებში, სოფლებში, სკოლებში ორგანიზებულად ეწყობა მშდ ნორმატივების ჩაბარება. კომკავშირის რაიონული კომიტეტის აქტივი განსაკუთრებულ ზედამხედველობასა და კონტროლს უწევს ამ ნორმატივების ჩაბარების მიმდინარეობას.

ჯერ კიდევ არასახარბიელო დონეზე გვაქვს დაყენებული სპორტული მუშაობის წარმართვა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ამ მიმართებით სუსტად მუშაობენ კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები, ჯერჯერობით ვერ შევქმენით გამოჩენილ სპორტსმენთა სახელობის კლუბები.

ახლა რამდენიმე საკითხს გაგაცნობთ, რომელთა დაძლევა ჩვენს ძალებს აღემატება. ასპინძის რაიონის ბავშვთა სპორტულ სკოლას არ გააჩნია საკუთარი შენობა, კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინაშე დაისმება საკითხი ბავშვთა სპორტსკოლისთვის სპორტული დარბაზისა და სხვა ნაგებობების აშენების შესახებ. რაიონის მოსახლეობა, სპორტსმენ-ფიზკულტურელები, ამ დარგის მუშაკები, ჩვენ, კომკავშირლები, მოხარულნი და მადლობელნი ვიქნებით, თუ რესპუბლიკის რომელიმე მსხვილი ორგანიზაცია შეფობას გაუწევს ჩვენი რაიონის ახალგაზრდებს, სპორტსმენებს. ვფიქრობ, არ იქნება ძნელი იმის მოხერხება, რომ დროდადრო, ვთქვათ, კვარტალში ერთხელ, ასპინძას ესტუმრონ გამოჩენილი სპორტსმენები, ვეტერანები, რომლებიც გაესაუბრებიან ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, მოაწყობენ საჩვენებელ გამოსვლებს... და, კიდევ, ინვენტარის შესახებ. ძალიან გვიჭირს ბურთების, საჭიდაო ჩოხებისა და სხვა უპირველესი მნიშვნელობის სპორტული ინვენტარის შოვნა და, ამიტომაც, ამ სატკივარს ვუსვამ ხაზს...

დასასრულ, მინდა გამოვთქვა ღრმა რწმენა იმისა, რომ კომკავშირლები, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკები ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ახალგაზრდებში ფიზიკური წრთობის, სპორტული ოსტატებისა და ზნეობრივი ჩამოყალიბების განმტკიცებისთვის.

საუბარი ჩაიწერა **დ. ჟელიძემ.**



## ჭიდაობა

მონღოლეთის დედაქალაქ ულან-ბატორში მიმდინარეობდა საერთაშორისო შეჯიბრება მეგობრობის თასზე, სადაც საბჭოთა და მონღოლ ფალავნებთან ერთად ასპარეზობდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები უნგრეთიდან, პოლონეთიდან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რუმინეთიდან და ბულგარეთიდან.

სამდღიანი პაექრობის შემდეგ თასი საბჭოთა ათლეტებმა დაისაკუთრეს, II-III ადგილები კი შესაბამისად ბულგარელ და კორეელ ფალავნებს ერგოთ.

საბჭოთა მოჭიდავეთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს მ. ხაცუკოვმა (ნალჩიკი), მ. გიგინიანმა (ერევანი), ბ. ბუდაევმა (ულან-უდე) და ვ. ვალაკიტინმა (ლვოვი).

ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში პირველად გამოდიოდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ვ. გელაშვილი („განთიადი", მწვრთნელი ო. შოშიტაშვილი), რომელმაც წარმატებით იასპარეზა — დაამარცხა უნგრელი, მონღოლი, პოლონელი, რუმინელი და კუბელი ფალავნები, მაგრამ ფინალში ბულგარელ ა. დოიანოვთან დათმო ბრძოლა და ვერცხლის მედალს დაესაკუთრა.

რიაზანის მოსწავლეთა ტურისტული კლუბის წევრებმა „არგონავტებმა" მოაწყვეს ბაიდარებით ლაშქრობა კარელიის, არხანგელსკის ოლქის, ურალისა და რუსეთის ცენტრის მდინარეებზე.

ს უ რ ა თ ზ ე: მოგზაურთა ბაიდარები მდინარე პრეზე.

ხაკდესის ფოტო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მზიური“ (გალი) — 3:1 (1:1).

11 აგვისტო. თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

„მაღაროელი“ — ზარიძე, მეხი, კაციტაძე (ცუცქირიძე), ჯანგავაძე, შერგელაშვილი, ლოლაძე, ქელიძე (დევიძე), გურული (ლაშხი), ოსაძე, ლომსაძე, მაღრაძე.

„მზიური“ — გათიკაევი, კვეკვესკირი, ვენეცკი, კალანდია, ლომიძე, ოსტროვსკი, ზაქარაია, ნეფარიძე, ხარაბაძე, გუგუჩია (ანთია), ესიპოვი.

მსაჯთა ბრიგადა: ვ. მიმინოშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი), მ. კობიაშვილი (გორი).

ტრიბუნებზე ხუმრობდნენ, ჭიათურელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს „ინიციატივაო“: თასზე ფინალური ასპარეზობის ტრადიციული ატრიბუტი — გულშემატკივრების მიერ დამზადებული ერთ-ერთი

# „მაღაროელის“ საპატიო წრე...

ტრანსპარანტი ორიგინალობით აშკარად გამოირჩეოდა დანარჩენთაგან. „გევიმარჯვებთ? აპა, არა-ა-ა!“ — ქეთილი იმერული იუმორით სამარშინიანი ასოებით დაეწერათ „მაღაროელის“ ქომაგებს უზარმაზარ ტილოზე...

...თანამოსწრებულ ფეხბურთის მოყვარულებთან შედარებით ჭიათურელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კალოევი პროგნოზებში ბევრად უფრო თავდაჭერილი იყო.

— „მზიური“ ძლიერი გუნდია... ყველაფერს ბურთი და მოედანი გადაწყვეტს, — გვითხრა მან მატჩის წინ.

— გვინდა კარგი თამაში ვაჩვენოთ თბილისელ მაყურებელს და... თასიც მოვიპოვოთ, — კონკრეტული იყო გალელ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ა. გრძელიძე.

„წონასწორობის აღსადგენად“ ამჯერად, ნეიტრალურ მხარესაც მივმართეთ — საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ა. ჭკუასელს:

— ვფიქრობ, დაძაბული ორთაბრძოლა და საინტერესო სანახაობა გველის. ორივე გუნდი საქართველოს ჩემპიონის სახელისთვის იბრძვის რეალურად და გათამაშებაში ლიდერთა შორის იმყოფება. „მაღაროელის“ თამაშის ხარისხს წელს აშკარად დაეტყო გამოცდილი მწვრთნელის ზ. კალოევის მოსვლა. გუნდში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს, რომელთა გასინჯვას თბილისის „დინამოსთვის“ ვაპირებთ. რაც შეეხება საქართველოს სუპერთასის მფლობელს — „მზიურს“, იგი საკმაოდ შეთამაშებული, სტაბილური გუნდია და ახალგაზრდა მწვრთნელის ა. გრძელიძის გულმოდგინე მუშაობით, ვფიქრობ, კარგი მომავალი აქვს.

... ეს იყო მიმდინარე სეზონში „მზიურისა“ და „მაღაროელის“ მესამე შეხვედრა (პირველ ორ მატჩში რესპუბლიკის პირველობაზე მეტოქეებმა წარმატება თანაბრად გაინაწილეს: გალში გაიმარჯვა „მზიურმა“ — 3:1, ჭიათურაში „მაღაროელმა“ — 2:1). და აი ყველაზე მთავარი, გადამწყვეტი ორთაბრძოლა.

ნებისმიერი თასის გათამაშების ფინალურ მატჩს, როდესაც სანუკვარ ჯილდომდე, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯია დარჩენილი, მუდამ ახლავს საკმაოდ დიდი ნერვიულობა და მისგან გამომდინარე შეცდომები. საილუსტრაციოდ სწორედ „მზიურისა“ და „მაღაროელის“ შეხვედრა (განსაკუთრებით მატჩის პირველი ნახევარი საათი), გამოდგებოდა. გალელებმა თავიდანვე სისწრაფეზე ააგეს თამაში — გუნდი ენერგიულად უტევდა ცენტრიდან და ფლანგებიდან, მაგრამ მეტოქე მშვიდად იცავდა კარის მისადგომებს, სადაც მუდამ ადგილზე იყო „მაღაროელის“ სტოპერი, გამოცდილი შერგელაშვილი (ფეხბურთის მოყვარულებს მისი თამაში ათიოდე წლის წინათ თბილისის „დინამოსა“ და როსტოვის ასკ-ში ახსოვთ).

შეტევა — შეტევით, მაგრამ ანგარიში ჭიათურელებმა გახსნეს. მე-8 წუთზე „მაღაროელის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ოსაძემ მარჯვენა ფლანგიდან მიიღო ბურთი საჯარიმოში, ზუსტად 11-მეტრიანის წერტილთან და დაუყოვნებლივ დაარტყა მეკარისაგან მარცხენა კუთხეში. გათიკაევის ნახტომი დაგვიანებული გამოდგა — 1:0.

ამას მოჰყვა ორმხრივი მწვავე იერიშები, რომლებიც ხარაბაძის („მზიური“) და გურულის („მაღაროელი“) დარტყმებით დამთავრდა, მაგრამ ამჯერად მეკარეებმა „თქვეს თავიანთი სიტყვა“ და საკუთარი კარი უვნებელყვეს.

შესვენებამდე 5 წუთით ადრე ჭიათურელმა მცველებმა საჯარიმოში არაზუსტად გაითამაშეს მოკლე გადაცემები და ერთ-ერთმა მათგანმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჰქრა — 1:1.

მეორე ნახევარი დაიწყო იმით, რომ ჭიათურელთა მარცხენა გარემარბმა მაღრაძემ (ადრე ისიც თბილისის „დინამოში“ თამაშობდა) მეტოქის კარის სიახლოვეს მიიღო ზუსტი შორეული გადაცემა და მცველებთან ბრძოლაში ეფექტური თავური დარტყმით კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1.

მიმდინარეობდა მატჩის 64-ე წუთი, როდესაც „მაღაროელმა“ ახალ წარმატებას მიაღწია — 3:1. ეს მოხდა საჯარიმო დარტყმის გათამაშების შემდეგ, რომელსაც ჭიათურელთა თავდამსხმელის ლომსაძის შეუჩერებელი უძლიერესი დარტყმა მოჰყვა. ვინც იმ დღეს „დინამოს“ სტადიონზე იმყოფებოდა, ვფიქრობთ, კარგა ხნით დაამახსოვრდება ეს ულამაზესი, ოსტატურად გატანილი გოლი.

დარჩენილ დროში „მზიურმა“ სცადა „ჩარხის შემობრუნება“ თავისკენ (განსაკუთრებით აქტიურობდა ხარაბაძე), მაგრამ ამაოდ. ჭიათურელებმა კარგად გაართვეს თავი საფეხბურთო „ენდშპილს“, რაშიც დიდი დამსახურება უდავოდ მათ მეკარე ზარიძეს ეკუთვნის.

— ორთაბრძოლით დიდად ნასიამოვნები ვარ. როგორც ძველი მეკარე განსაკუთრებით ყურადღებით ვადევნებდი თვალს ზარიძისა და გათიკაევის თამაშს, — გვითხრა ვეტერანმა, 82 წლის გ. ჩხიკვაძემ (იგი 1912-1925 წწ. სურამის „ამირანის“, შემდეგ კი თბილისის „დინამოს“ კარს იცავდა), — განსაკუთრებით მომეწონა ზარიძე, რომელსაც უდაოდ კარგი რეაქცია და ნახტომი აქვს. მის კოლეგას, რომელმაც აგრეთვე კარგად ჩაატარა თამაში, ვუსურვებდი მეტ ყურადღებას ბურთზე გასვლისას.

საუბარში ჩაერთო თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი თ. სახვაძე.

— „მაღაროელმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა. გამოცდილებამ თავისი სათქმელი თქვა. შეხვედრის მეორე ნახევარში ჭიათურელებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქე და ზუსტად განახორციელეს მწვრთნელების (ზ. კალოევთან ერთად გუნდში მოთამაშე-მწვრთნელად მ. შერგელაშვილი მუშაობს) მითითებანი. როგორც ყოფილ მცველს, ალბათ, გაინტერესებთ ჩემი აზრი მეტოქეთა დაცვითი ხაზების შესახებ. ორივე გუნდს საკმაოდ კარგად ჰქონდა ორგანიზებული კარის მისადგომების დაცვა. გამოვყოფდი ჭიათურელებს შერგელაშვილს და ჯანგავაძეს, გალელთაგან — კვეკვესკირს, ტექნიკურ, თავისუფლად მოთამაშე, მინდორზე კარგად მოაზროვნე ფეხბურთელს.

და ბოლოს კიდევ ერთი პატარა ინტერვიუ შეხვედრის არბიტრთან — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯთან ვ. მიმინოშვილთან, რომელმაც, სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, საუკეთესოდ ჩაატარა შეხვედრა.

— გუნდებმა მართლაც კორექტულად წარმართეს ეს ძნელი ორთაბრძოლა. განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ კაპიტნებისა — თ. ოსაძისა და გ. კალანდიასი, რომელთა დახმარებას და, მე ვიტყოდი, მხარდაჭერას თამაშის პირველი წუთებიდანვე ვგრძნობდი.

...საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მასობრივი ფეხბურთის განყოფილების უფროსმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. შავდიამ გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს საზეიმო ვითარებაში საპატიო თასი და საქართველოს სპორტკომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომები გადასცა. მეორე ფინალისტმა — გალის „მზიურმა“ შესაბამისად მეორე ხარისხის დიპლომები მიიღო.

ჭიათურის „მაღაროელმა“ — უძლიერესმა თასისთვის მებრძოლ რესპუბლიკის 400 გუნდს შორის, სანუკვარი ჯილდოთი ტრადიციული საპატიო წრე შემოუარა „დინამოს“ სტადიონის სარბიელს. ფეხბურთის მოყვარულები მხურვალედ მიესალმენ საქართველოს თასის ახალ მფლობელებს.

ო. ნოზაძე.

* * *

**სურათებზე:** ჭიათურელ ლომსაძეს (მარჯვნივ) ულამაზესი გოლი გააქვს მეტოქის კარში; საქართველოს 1978 წლის თასის მფლობელი ფეხბურთში — ჭიათურის „მაღაროელი“ სანუკვარი პრიზით. მარცხნივ დგას გუნდის უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კალოევი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## თასი — კიევის „დინამოს“



**გუშინ** მოსკოვში „ტორპედოს“ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში კიევის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა კიევის „დინამომ“, რომელსაც გადაეცა საპატიო ჯილდო.

# დიდი უპირატესობით

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 10 აგვისტო.

„ელვა“ (თბილისი) — „პოლიტექნიკი“ (ალმა-ათა) 26:7 (10:4).

„ელვა“: კოტრიკაძე, სანებლიძე, ერიკაშვილი, ჭანკოტაძე, ვაზაგაშვილი (დადეშქელიანი), შავდია, რამიშვილი, გრიგალავა, ჯალაღონია (შავგულიძე), ცინცაძე, პაიჭაძე, გოგიჩაიშვილი, ბახტაძე, ნაცვლიშვილი, ეკალაძე.

„პოლიტექნიკი“: ფარენბუხი, ბელაში, საბანინი, პლატონოვი, რომანენკო, კადიროვი, დიმიტრიევი, მორგუნი (ჟავორონკოვი), იმანოლიევი, ბუკინი, ლაპშინინი, კოსაჩოვი (ოუეხოვსკი), ვიაჩ. ფილიპოვი, ვლ. ფილიპოვი, კალინინი.

მსაჯი ვ. მკრტჩიანი (ერევანი).

უმაღლესი ლიგის ოთხი საგზურისთვის მებრძოლი ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში, „ელვას“ სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, ალმაათელებმა გამარჯვებას მიაღწიეს. ახლა კი თბილისელებს რევანში სურდათ — უნდა ეჩვენებინათ, რომ „ელვა“ უმაღლესი ლიგის ღირსეული წევრია და ახლა გადასასვლელ მატჩებში მონაწილეთა შორის მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ თაობათა ცვლა ძნელად გადაიტანა...

მასპინძლები მეტოქეს აშკარად სჯობნიდნენ, როგორც ტექნიკურად, ისე ფიზიკურად და ტაქტიკური არსენალიც მეტი აღმოაჩნდათ.

უკვე მეორე წუთზე ეკალაძემ საჯარიმო დარტყმებით ანგარიში გახსნა. შუა ტაიმამდე გუნდმა მეტის გაკეთება ვერ შეძლო, რადგან რგოლთა შორის მოქმედებაში თანხმობა არ იგრძნობოდა და „პოლიტექნიკიც“ თავს შეუპოვრად იცავდა, მე-18 წუთზე კი კოსაჩოვმა „ელვას“ ჩათვლის მოედანში ბურთის დადება შეძლო, 4:3 სტუმრების სასარგებლოდ.

შესვენებამდე ჯერ ეკალაძემ (ისევ საჯარიმოთი) დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო შემდეგ ჭანკოტაძემ მოწინააღმდეგის „ქალაქის“ აღებით ანგარიში 10:4-მდე გაზარდა.

ხუთწუთიან შესვენებას თბილისელებისთვის უქმად არ ჩაუვლია. გუნდის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ი. კიზირიამ გუნდს ხარვეზებზე მიუთითა და „ელვამაც“ მშვენივრად გამოიყენა დარჩენილი 40 წუთი: ერიკაშვილმა, ეკალაძემ და ბახტაძემ კიდევ თითოჯერ დადეს ბურთი ალმაათელთა ჩათვლის მოედანში, ხოლო ეკალაძემ ორი რეალიზაციაც გამოიყენა (ამ დღეს მან გუნდს 14 ქულა მოუტანა).

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ეკალაძის მიერ „ქალაქის“ აღების მომენტი — მან ცრუ მოძრაობებით მინდვრის ცენტრიდან ბურთიანად შეძლო „პოლიტექნიკის“ საკმაოდ მასირებულ დაცვაში გაძრომა. ეს ისე კარგად, მოხდენილად გამოუვიდა, რომ იგი ტაშით დააჯილდოვა სტუმართა რამდენიმე მოთამაშემაც.

„ელვა“ მორიგ შეხვედრას შინ დღეს მოსკოვის „ავტომობილისტთან“ გამართავს.

ჯ. ქვარცხავა.

## ჭადრაკი

**გუშინ** ბაგიოში მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის XII პარტია არ შედგა. მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა „წუთ-შესვენება“ აიღო.

**რუმინეთის** ქალაქ ბრაშოვში გამართულ ევროპის X ჩემპიონატზე თბილისელი ა. მეტრეველისა და მისი თანაგუნდელის თ. კაკულიას წარმატებებზე ჩვენ უკვე ვწერდით. გაგაცნობთ დანარჩენ გამარჯვებულებს. ვაჟთა წყვილების ფინალურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ჩეხოსლოვაკიელებმა ტ. შმიდმა და პ. სლოჟილმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს რუმინელები დ. ხერედაუ — ტ. მარკუ 6:4, 6:3 (ნახევარფინალში რუმინელ დუეტთან წააგო ა. მეტრეველ — თ. კაკულიას წყვილმა — 6:7, 6:3, 3:6, 4:6).

## ჩოგბურთი

ქალთა ერთეულებში ევროპის ჩემპიონი გახდა რუმინელი ვ. რუჟიცი, რომელმაც დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი რ. ტომანოვა — 6:4, 6:2, შემდეგ წყვილთა ასპარეზობაში თანაგუნდელ ფ. მიხაისთან ერთად მოუგო ჩეხოსლოვაკიელებს — რ. ტომანოვასა და რ. მარშიკოვას — 6:3, 7:6 და მესამე ოქროს მედალი მოიპოვა შერეულ წყვილთა ასპარეზობაში, როცა ტ. მარკუსთან ერთად დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელები რ. ტომანოვა — პ. სლოჟილი.

**ბერლინში**, გდრ-ის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ვ. შმიდტმა ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში 71,16 მეტრი აჩვენა და 30 სანტიმეტრით გააუმჯობესა ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელ მ. უილკინსის მსოფლიო რეკორდი.

## მძლეოსნობა

**ედმონტონში** გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე 200 მეტრზე რბენაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ქვორიმ (იამაიკა) თანამეგობრობის თამაშებში 100 მეტრზე წლევანდელი, სეზონის საუკეთესო შედეგით (10,03) იმარჯვა. ფინიშთან ევროპელ სპრინტერთა შორის წლევანდელ სეზონში საუკეთესო მაჩვენებლით (10,07) მეორე იყო ინგლისელი ა. უელსი, ხოლო მესამე — ამ დისტანციაზე მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი ჰ. კროუფორდი (ტრინიდადი) — 10,09. 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ყველა მედალი კენიელებს ერგოთ.

### ...სრ კავშირის პირველობა

## პირველი ლიგა

## ფეხბურთი

**პირველი** ლიგის საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში 9 აგვისტოს გაიმართა მეთოთხმეტე ტურიდან გამოტოვებული მატჩი იაროსლავლის „შინიკსა“ და მინსკის „დინამოს“ შორის. 90-წუთის მანძილზე ვერცერთმა გუნდმა ვერ მოახერხა გოლის გატანა — 0:0.

### მსოფლიო პირველობაზე გაფრინდაშვილ — ჩიბურდანიძის მატჩის წინ



## 2. ძიებისა და აღმავლობის გზით

**1927 წლის** 18-29 ივლისს, ლონდონში, ინგლისის პარლამენტის შენობის ცენტრალურ დარბაზში მიმდინარეობდა მსოფლიოს პირველი გუნდური პირველობა — „ერთა ტურნირი". იქვე, პატარა ოთახში ფიდე ატარებდა ქალთა საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც პირველი მსოფლიო ჩემპიონი უნდა დაესახელებინა. ასე დაიწყო ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშება.

ტურნირი 21 წლის ვერა მენჩიკის დამაჯერებელი გამარჯვებით დაგვირგვინდა. იგი მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდა.

ფიდე-მ მოიწონა ქალთა პაექრობა და მიუხედავად იმისა, რომ მუდამ განიცდიდა სახსრების ნაკლებობას, მაინც მართავდა ქალთა მსოფლიო პირველობას „ერთა ტურნირების" პარალელურად. ამიტომ მოჭადრაკე ქალები ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ჩემპიონის გამოსავლინებლად. ტურნირები მოეწყო 1930 წელს ჰამბურგში, 1931 წელს — პრაღაში, 1933 წელს — ფოლკსტონში, 1935 წელს — ვარშავაში, 1937 წელს — სტოკჰოლმში და 1939 წელს — ბუენოს-აირესში.

იმდროინდელ მსოფლიოში ცოტა იყო ძლიერი მოჭადრაკე ქალი. ეს ხელს უშლიდა პირველობების გამართვას. მაგალითად, ჰამბურგსა და პრაღაში მხოლოდ ხუთ-ხუთი, ფოლკსტონში — რვა მოჭადრაკე იბრძოდა. მათთვის საგანგებოდ მატჩ-ტურნირები მოეწყო. მაგრამ ფიდე-მ ბოლოს იმას მიაღწია, რომ ჭადრაკს ახალი ძლიერი თაყვანისმცემლები გაუჩნდნენ. სტოკჰოლმში სტარტზე 26 მოჭადრაკე გამოვიდა და ორგანიზატორები იძულებული შეიქნენ ტურნირი შვეიცარიული სისტემით ჩაეტარებინათ. მერე ბუენოს-აირესში 20 მოჭადრაკემ წრიული სისტემით ითამაშა.

ყველა ეს ტურნირი მენჩიკმა მოიგო. შვიდჯერ ამოიკვეთა მისი სახელი და გვარი ფიდე-ს მიერ დაწესებულ მსოფლიო ჩემპიონის გარდამავალ ოქროს თასზე.

კიდევ ერთხელ ტურნირმა მსოფლიო ჩემპიონი დაასახელა 1950 წელს, როცა აღარ იყო მენჩიკი. ეს მოხდა მოსკოვში, სადაც ფიდე-მ საასპარეზოდ 16 მოჭადრაკე ჩააბა. ჩემპიონი ლ. რუდენკო გახდა.

ომისშემდგომ პერიოდში მსოფლიოში ბევრი ძლიერი მოჭადრაკე იყო. მათი რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. საჭირო იყო ჩემპიონის ტიტულის გათამაშების ახალი სისტემის შემუშავება, ისე რომ ყველა უძლიერეს პრეტენდენტს მიეღო მასში მონაწილეობა. სწორედ მაშინ დამუშავდა დღემდე მოქმედ შეჯიბრებათა სერია, რომელიც მატჩით გვირგვინდება.

პირველი მატჩი მსოფლიო პირველობაზე მოეწყო 1953 წელს, ლენინგრადში, რუდენკოსა და პრეტენდენტთა 1952 წლის ტურნირში გამარჯვებულ ე. ბიკოვას შორის. იგი ბიკოვამ მოიგო.

მსოფლიო პირველობის მატიანეში არის მენჩიკის ორი მატჩი გერმანელ ს. გრაფთან, რომლებიც მოეწყო 1934 წელს როტერდამში და 1937 წელს ზემერინგში (ორივე მენჩიკმა მოიგო ანგარიშით 3:1 და 11,5:4,5), მაგრამ ფიდე-მ ეს შეხვედრები მსოფლიო პირველობად არ მიიჩნია.

მერე, როცა პრეტენდენტთა 1955 წლის ტურნირში ო. რუბცოვამ გაიმარჯვა, ფიდე-მ სამთა მატჩ-ტურნირი ჩაატარა მოსკოვში (1956 წ.) რუდენკოს, ბიკოვასა და რუბცოვას მონაწილეობით. გაიმარჯვა რუბცოვამ. ამის შემდეგ პირველობის ციკლი აღარ დარღვეულა: ჩემპიონის გამოსავლინებლად მუდამ მატჩი ეწყობა.

საინტერესოა, რომ რუდენკო — ბიკოვას მატჩში მეტოქეებს ურთიერთობა 14 პარტიაში უნდა გაერკვიათ. მაგრამ რუბცოვა — ბიკოვას მატჩიდან (1958 წ.) დღემდე ამ პარტიათა რაოდენობა 16 განისაზღვრება.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა ნონა გაფრინდაშვილი (1962 წ.) კიდევ უფრო გაცხოველდა ბრძოლა პრეტენდენტის უფლებისთვის, მისი ყოველი მატჩი ჭადრაკის ზეიმად იქცა. ეს იმიტომ, რომ ნონას შემოქმედებამ ხელი შეუწყო ქალთა თამაშის დონის ამაღლებას, ოსტატობის სრულყოფას და, ბუნებრივია, გაჩნდნენ მაღალი გონებისა და დიდი ძალის მოჭადრაკეები, რომელთა პრეტენზიებმა ფიდე-ს დამატებით შესარჩევი ტურნირები და საერთაშორისო დიდოსტატის წოდება შემოაღებინა. სწორედ მათგან რჩეულებთან ჰქონდა ნონას პაექრობა 10 წლის მანძილზე: 1965, 1969 და 1972 წლებში ა. კუშნირთან და 1975 წელს ნ. ალექსანდრიასთან. ამ პერიოდში თვით მსოფლიო ჩემპიონმაც აიმაღლა ხელოვნება, ახალი ზღუდეები გადალახა (მხედველობაში გვაქვს მისი წარმატებები ვაჟებთან პაექრობაში).

ამჟამად სარბიელზე გამოდის მოჭადრაკე ქალთა ახალი თაობა, რომელიც ნონას მიღწევების მაგალითზე დაადგა გზას დიდ ჭადრაკში. დღეს სარბიელზეა ამ თაობის უპირველესი წარმომადგენელი მ. ჩიბურდანიძე, რომელმაც წარმატებით დაძლია მრავალსაფეხურიანი შესარჩევი ტურნირები და მატჩები.

დღემდე მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლინებლად 17 ტურნირი, მატჩ-ტურნირი და მატჩი გაიმართა. 1953 წლიდან ჩემპიონისა და პრეტენდენტის მიმზიდველი მატჩების მოწმენი ვართ. ფიდე-ს აზრით, ბრძოლის ეს ფორმა უმაღლეს დონეზე ყველაზე მართებულია.

ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩი, რომელიც ორიოდე დღეში ბიჭვინთაში აიღებს სტარტს, ქალთა მსოფლიო პირველობის ისტორიაში მეთვრამეტე შეჯიბრება იქნება.

თ. გიორგაძე.

## ამერიკელებიც აღიარებენ

**ახლა** ბევრ ქვეყანაში აღარ მალავენ იმ დიდ სამზადისს, რომელიც მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშების უმაღლეს დონეზე ჩატარებისთვის მიმდინარეობს, აღტაცებულნი არიან იმ ტემპით, რასაც ოლიმპიური სპორტული ბაზების მშენებლები აღწევენ.

„ეჭვი აღარავის ეპარება, რომ მოსკოვს ამ საქმეში არავითარი პრობლემა არა აქვს, რომ იგი XXII თამაშების მონაწილეებს ყოველმხრივ მზად შეხვდება". ასეთია ყველას საერთო აზრი.

დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა ცნობილმა ბელგიელმა სპორტულმა მოღვაწემ რ. მოლემ ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს (ბტა) კორესპონდენტთან საუბარში, რომელიც სოფიაში გამართულ ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ასამბლეის სესიაში მონაწილეობდა.

ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ათლეტების დებიუტმა, ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიადიდან მოყოლებული მათმა წარმატებებმა, თამაშების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა. დასავლეთში აღარც იმას მალავენ, რომ საბჭოთა სპორტსმენების სულ უფრო მზარდმა ტექნიკურმა შედეგებმა, საერთო წარმატებებმა ყველა აიძულა მუშაობის ფორმები გარდაექმნათ, ამან კი თითქმის ფანტასტიკური რეკორდების წარმოშობას შეუწყო ხელი.

მაგრამ მოსკოვის ოლიმპიადისთვის სამზადისი მაინც სულ სხვაა. ყველას სურს სოციალისტური ქვეყნის პირველ ოლიმპიურ დედაქალაქში, რაც შეიძლება მეტი მაღალი ადგილი მოიპოვოს, რაც შეიძლება მეტად ისახელოს თავი. ამ მიზანს ემსახურება ზრუნვა, ასე ვთქვათ, ოლიმპიური ფავორიტი ქვეყნების (განსაკუთრებით აშშ-ს, გდრ-ის, გფრ-ის), დიდი და პატარა სახელმწიფოების ოლიმპიური კომიტეტებისა, რომლებსაც მთავრობები ისე მხურვალედ უჭერენ მხარს, როგორც არასდროს.

თვით გუნდების მზადებაში სიახლეებია. ახლა ოლიმპიური ნაკრები კოლექტივების წევრთა შერჩევას მხოლოდ ოლიმპიადის წელს, ან მის წინა წელს კი არ იწყებენ, არამედ უფრო ადრე — წლეულსვე, მაშინ, როცა XXII ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თითქმის ორი წელი დარჩა. ასეა ყველგან, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში.

აშშ-ს მაგალითი ავიღოთ. ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობითა და სხვადასხვა სპორტული კავშირების მხარდაჭერით კოლორადო-სპრინგსში ეროვნული სპორტული ფესტივალის ჩატარება გადაწყდა. ამ ქვეყანაში ასეთი რამ ადრე არასდროს გამართულა. მანამდე სპორტულ მმართველ წრეებში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების დადებითი გამოცდილების გადაღება არც ამერიკელებს აწყენდათ.

და აი, ამ ქალაქში სპორტის 26 სახეობის საუკეთესო წარმომადგენლები შეკრიბეს. ისინი, ვინც ახლა აშშ-ს ნაკრებშია, ისინიც, ვინც კანდიდატებად ითვლება...

დიახ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში წარმატებას მარტო სპორტული თვალსაზრისით კი არ განიხილავენ, არამედ მას უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებენ, ამიტომაც ცდილობენ თავიანთი ქვეყნის სპორტული დელეგაცია, რომელიც 1980 წელს ჩვენს დედაქალაქში საასპარეზოდ ჩამოვა, ყველა დროის ნაკრებზე უკეთესი იყოს.

კოლორადო-სპრინგსში, ეროვნული სპორტული ფესტივალის პროგრამაშია მძლეოსნობა, ცურვა, ჭიდაობა, წყალში ხტომა, სროლა და სხვ.

„ფესტივალი ჩვენში ძალიან სერიოზული შემოწმების ახალი სასიკეთო ფორმაა, მან ამერიკელ სპეციალისტთა საქმიანობის სერიოზული ხარვეზებიც გამოავლინა", — აღარ მალავენ აშშ-ს ოლიმპიურ წრეებში.

ჩვენს მკითხველებს უკვე ვატყობინებდით ბადროს ტყორცნაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონის ა. ორტერის მტკიცე გადაწყვეტილებას მოსკოვში ჩამოვიდეს, როგორც გუნდის წევრი. მას მძლეოსნობისთვის თავი ჰქონდა დანებებული. მაგრამ როცა XXII ოლიმპიადის დედაქალაქად მოსკოვის გამოცხადება გაიგო, განიზრახა მას ესტუმროს, არა როგორც ტურისტი ან კომენტატორი, არამედ როგორც სპორტსმენი, რომელსაც სურს თავისი მეხუთე და შესაძლოა, ბოლო ოქროს მედალი სწორედ სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში მოიგოს.

(საკდესი).

### უცხოური მოზაიკა



ახალი „მსოფლიო რეკორდი" დაამყარა ინგლისელმა ედი კიდმა, რომელიც 14 ორსართულიან ავტობუსს გადაახტა მოტოციკლეტით.



პარიზში ეიფელის კოშკთან გაიმართა შეჯიბრება სკეიტბორდებზე სრიალში.

### ალპინიზმი

#### პოლონელთა გაბედული ნაბიჯი

**ვარშავა.** ...მალის ჰიმალაე...
მდებარე მსოფლიოს ერთ-ე...
უმაღლესი მწვერვალის — მა...
უს (8481 მ) დაპყრობას ისა...
მიზნად წლეულს შემოდგომაზე
რშავის მაღალმთიანი კლუბის მ...
ორგანიზებული ექსპედიცია.

მწვერვალზე ასვლა დაგეგმ...
ახალი მარშრუტით — აღმოსავ...
თის კედლით. 23 წლის წინათ
გზით ასვლა სცადეს საფრანგე...
მთამსვლელებმა, მაგრამ უშედ...
ოდ. მათი შეფასებით ეს მარშრ...
გაუვალია.

პოლონელ სპორტსმენებს კი...
ერთი მიზანი აქვთ — ქალთა ...
ფის დამოუკიდებელი ასვლა
მწვერვალზე მისი პირველი და...
ყრობლების — ფრანგი მთამსვ...
ლების მარშრუტით. ამ ჯგუ...
მონაწილეები გ. კრიუგერ-სირო...
მსკაია და ა. ოკოპინსკაია 3 წ...
წინათ ევროპელი მთამსვლელთ...
ლებიდან პირველები ავიდნენ
რაყორუმის მთებში მდებარე მწ...
რვალ გაშერბრუმ-2-ზე (8035 ...
(საკდესი).

### ფარიკაობა

**მეგობრულ** არმიათა ჩემპიონ...
ში, რომელიც რუმინეთის დედა...
ლაქ ბუქარესტში მიმდინარეო...
წარმატებით გამოდიან საბჭ...
სპორტსმენები. ოლიმპიურმა ...
მსოფლიო ჩემპიონმა, მოსკოველ...
ვ. კროვოპუსკოვმა ყველას აჯ...
ხმლით ფარიკაობაში. თანაგუნ...
ლებთან ერთად მან გუნდური ...
ჯიბრებაც მოიგო. მეორე ადგი...
არიან რუმინელი, ხოლო მესამ...
— უნგრელი ხმლით მოფარიკ...
ნი. ორმაგი წარმატება იზეიმ...
საბჭოთა რაპირისტმა ვაჟებ...
ჩემპიონი გახდა ტაშკენტელი...
რუზიევი, ხოლო გუნდურში
კვლავ ჩვენი ნაკრები.

### „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთ...
არმა სამმართველომ შეაჯამა შე...
ეგები „სპორტლოტოს" 31-ე ტ...
რაჟებისა, რომლებიც 5 აგვისტ...
მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტოს" 6 — 49-...
მოგებები ასეთია:

**პირველი:** ექვსი (შელავათი...
ბურთულით) ციფრის გამოცნ...
ისთვის მოგება 3 049 მანეთ...
ხუთისთვის — 2049, ხუთისთ...
(შეღავათიანი ბურთულით) — ...
ოთხისთვის — 45, სამისთვის —...

**მეორე:** ექვსი (შეღავათიანი ბუ...
რთულით) ციფრის გამოცნობის...
ვის მოგება 3443 მანეთია, ხუ...
ისთვის — 2443, ხუთისთვის (შე...
ღავათიანი ბურთულით) — ...
ოთხისთვის — 64, სამისთვ...
— 4.

„სპორტლოტოს" 5 — 36-...
მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გა...
ცნობისთვის მოგება 10000 მა...
თია, ოთხისთვის — 152, სამისთ...
— 5.

**მეორე:** ოთხი ციფრის გამო...
ნობისთვის მოგება 238 მანეთ...
სამისთვის — 6.

„სპორტლოტოს" 31-ე ტირა...
ების მოგებათა განაღდება იწა...
ოებს 16 აგვისტოდან 16 სექტე...
რის ჩათვლით.

• • •

**გუშინ** მოსკოვში შედგა „სპო...
ტლოტოს" მორიგი, 32-ე ტირაჟ...

„სპორტლოტო" 6 — 49-იდან:

**პირველი:** 11, 14, 16, 29, 47, ...
შეღავათიანი ბურთულა — 33.

**მეორე:** 20, 33, 38, 39, 40, ...
შეღავათიანი ბურთულა — 1.

„სპორტლოტო" 5 — 36-დან:

**პირველი:** 6, 16, 19, 24, 32.

**მეორე:** 1, 10, 15, 19, 35.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-58; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-... მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოდლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.